ბავშვთა ასაკის შეზღუდულ შესაძლებლობათა
საქართველოს აკადემია - ბაშა
Georgian Academy of Childhood Disability – GACD

ს/კ 405075760, მის: თბილისი 0105, ნატო ვაჩნაძის ქ. 7, ტელ/Tel: 2999400, 599161809
Address: 7, Vachnadze Street, Tbilisi 0105.

გიწვევთ ახალგაზრდა მეცნიერთა სეზონურ სკოლაში

„ნეიროგანვითარებითი დარღვევები - მტკიცებულებები და შესაძლებლობები“

მონაწილეობის მისაღებად.

სკოლა ტარდება შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის და ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭრით.

ჩატარების ადგილი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დრო: 2-7 ოქტომბერი, 2016 წელი

ენა: ინგლისური

სკოლა მოიცავს 34 სამუშაო საათს და შემდეგ თემებს:

- ნეიროგანვითარებითი დარღვევები - ადრეული იდენტიფიკაციისა და მართვის თანამედროვე მიდგომები;
- ბავშვთა ადრეული ინტერვენცია - საერთაშორისო კონცეპცია, ეროვნული ინიციატივა და პრაქტიკა;
- ენისა და მეტყველების დარღვევების პრევენცია და ადრეული ინტერვენცია.

სკოლის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერთა დაინტერესებას ნეიროგანვითარებითი დარღვევების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მართვის საკითხებით, მათ კარიერულ წინსვლას, ევროპელ და ამერიკელ სპეციალისტებთან ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლას, საერთაშორისო კონტაქტებსა და სამომავლო თანამშრომლობას.

სკოლაში მონაწილე ექსპერტები: ჰოლი ჰიქს-სმოლი, აშშ-ს ორეგონის უნივერსიტეტის პროფესორი; ტობი ლონგი, აშშ-ს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი; ჟოაო კანოზა დიასი, პორტუგალიის ARCIL რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორი; ნანა ტატიშვილი, თბილისის დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი; მაია გაბუნია, თბილისის დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი; ქეთევან ბერიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორი.

პროექტში ჩართულ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ გამოცდილი პროფესიონალებისგან და ექსპერტებისგან მოისმინონ საინტერესო ლექციები, ჩაერთონ

დისკუსიაში, კონკრეტული შემთხვევების მაგალითზე გაეცნონ პრობლემებსა და პრობლემების გადაჭრის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შესაძლებლობებს.

სკოლის მსმენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელიც არის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სტუდენტი ან უკვე აქვს ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი ფსიქოლოგიაში და სხვა მომიჯნავე სპეციალობაში. ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა.

რეგისტრაციის თანხა: 100 ლარი.

სკოლის მიმდინარეობის პერიოდში ყველა მსმენელი (რეგისტრაციის გარდა სხვა გადასახადის გარეშე) უზრუნველყოფილი იქნება კვებით, სასტუმროს მომსახურებით, სასწავლო მასალით. ასევე, მონაწილეობას მიიღებს 2 ექსკურსიასა და საზეიმო ვახშამში.

სკოლაში ჩასართავად მსურველებმა უნდა შეავსოთ სააპლიკაციო ფორმა 2016 წლის 1 აგვისტომდე შემდეგ Facebook მისამართზე: ნეიროგანვითარებითი დარღვევები - მტკიცებულებები და შესაძლებლობები 2016.

შერჩეულ აპლიკანტებს დამატებით დავუკავშირდებით 10 აგვისტომდე. სარეგისტრაციო თანხის გადახდა ხდება მას შემდეგ, რაც თქვენი აპლიკაცია შერჩეული იქნება მსმენელად დასარეგისტრირებლად და მიიღებთ შეტყობინებას. რეგისტრაციის თანხის დაფარვა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2016 წლის 1 სექტემბრისა.

გისურვებთ წარმატებებს!